



12489/3-129/21 2 23122021

12489/3-129/21

23-12-2021

საქართველოს ეროვნულ ბანკს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით:

როგორც საჯაროდ არის ცნობილი, საქართველოს ეროვნული ბანკი მუშაობს ციფრული ლარის (CBDC) დანერგვაზე. გთხოვთ, მოგვაწოდოთ:

1. დოკუმენტები, რომლებიც ამ მიმართულებით შემუშავდა საქართველოს ეროვნულ ბანკში;

2. ასევე, სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილი იქნება ვადები, შესაბამისი ეტაპების მიხედვით მოსალოდნელი შედეგები (მაგ. რა სახის, რა ტიპის დოკუმენტები უნდა იყოს შემუშავებული თითოეული ეტაპის ბოლოს) და თითოეული ეტაპის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი საკონტაქტო ინფორმაციისთვის.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ბადრი ჯაფარიძე



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-23/143

143-23-2-202201201542

20/01/2022



საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბადრი ჯაფარიძეს;
მის.: საქართველო, თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი №8,
საქართველოს პარლამენტის სასახლე;
ტელ.: (995 32) 2 281 679;
ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

ბატონო ბადრი,

თქვენს 2021 წლის 23 დეკემბრის №12489/3-129/21 წერილის პასუხად გიგზავნით დოკუმენტს, რომელიც აღწერს ციფრული ლარის პირველად პრინციპებს და ტექნოლოგიურ ფორმებს თანამშრომლობისათვის იწვევს. ამ დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ შევხვდით ათეულობით დაინტერესებულ ტექნოლოგიურ კომპანიას და განვიხილეთ პოტენციური ციფრული ტექნოლოგიები, რომლებიც ციფრული ლარის შექმნისთვის შეიძლება იქნას გამოყენებული. არსებული ციფრული ტექნოლოგიების სიმწიფისა და ადგილობრივი ფინანსური ბაზრის გამოწვევების გათვალისწინებით, ციფრული ვალუტის სარგებელის, ხარჯისა და რისკების ანალიზი განხილვის პროცესშია. ანალიზის პროცესი ასევე მოიაზრებს ციფრული ლარის კონკრეტული მახასიათებლების დაზუსტებასა და გასაჯაროებას, მასშტაბის განსაზღვრას და ციფრული ვალუტის საპილოტე/სატესტო რეჟიმში გაშვებას, რაც ციფრული ლარის პროექტის შემდგომი ეტაპების სამოქმედო გეგმის და დანერგვის საგზაო რუკის შედგენის საფუძველი იქნება.

აღსანიშნავია, რომ დაინტერესებულ მხარეებს საშუალება ექნებათ ციფრული ლარის და დაკავშირებული ეკოსისტემის ჩამოყალიბების პროცესში ჩაერთონ. ამ საკითხთან დაკავშირებით ნებისმიერი კომუნიკაციისათვის ასევე აქტიურად ვიყენებთ ფინანსური ინოვაციების ოფისს, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია კითხვით მომართვა ან აზრის გაზიარება შემდეგი ელექტრონული ფოსტის საშუალებით - InnovationOffice@nbg.gov.ge

დანართი: 5 (ხუთი) ფურცელი

პატივისცემით,

კობა გვენეტაძე

პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი



ციფრული ლარის პროექტი - მოწვევა თანამშრომლობისათვის

საქართველოს ეროვნული ბანკი ახალი ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობისათვის, ადგილობრივი საგადახდო სისტემის ეფექტურობის და ფინანსური ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით, განიხილავს ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის (CBDC) გამოშვებას. CBDC ცენტრალური ბანკის პირდაპირი ვალდებულებაა, რომელსაც ექნება გადახდის საშუალების სტატუსი.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ეროვნული ბანკი მზადყოფნას გამოთქვამს, ითანამშრომლოს ფინტექ კომპანიებთან და დაინტერესებულ ფინანსურ ინსტიტუტებთან, იმისათვის რომ ერთობლივი ძალებით გადაილახოს CBDC-ს დანერგვასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური, საზედამხედველო, და ფინანსური დაბრკოლებები.

საქართველოს ეროვნულ ბანკის მანდატს ფასებისა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. აღნიშნული მანდატის მისაღწევად გამოყენებული მთავარი ინსტრუმენტია ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ გამოკვეთა ცენტრალური ბანკის ფულის განვითარების და ლარის ციფრული ვერსიის შექმნის აუცილებლობა, იმისათვის რომ ის უკეთ მოერგოს ციფრულ ეკონომიკას და გაზარდოს ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობა.

CBDC-ს გააჩნია პოტენციური მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს ინოვაციურ ბიზნეს მოდელებს, რასაც ასევე დიდი გავლენა ექნება საზოგადოების კეთილდღეობაზე. CBDC-ის გამოშვებით შესაძლებელი იქნება გაიზარდოს ფინანსური შუამავლობის ეფექტიანობა, დაჩქარდეს ახალი ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვა, ხელი შეეწყოს ფინანსურ ჩართულობას. ასევე, შესაძლებელია გაიზარდოს მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა და ხელი შეეწყოს ლარიზაციის პროცესს.

საქართველოს ეროვნული ბანკი იზიარებს BIS (2020) ჩამოყალიბებულ პრინციპებს და გეგმავს განავითაროს CBDC ტექნოლოგია ჩამოთვლილი მახასიათებლების მიხედვით:

- 1) **მოდულური მიდგომა.** CBDC-ს ფუნქციებმა უნდა წაახალისოს ახალი ფინტექ პროდუქტების სწრაფი განვითარება და ციფრული ლარის დამატებითი განახლებები. მნიშვნელოვანია, რომ დაიწყოს მარტივი ფუნქციონალით, რომელსაც ექნება მარტივად განახლების და დროთა განმავლობაში CBDC-ს ფუნქციონალის გაზრდის შესაძლებლობა. მაგალითად, სინთეტიკური CBDC-ით დაწყება ერთ-ერთი მისაღები მიდგომაა;
- 2) **დაბალი ხარჯები.** საქართველოს ფინანსური ბაზრის ზომის გათვალისწინებით, ხარჯები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნება. პრიორიტეტი მიენიჭება ეკონომიურ პროდუქტს, რომელსაც დაბალი ფიქსირებული და ცვალებადი ხარჯები ექნება;
- 3) **საცალო სექტორზე მორგებული.** ძირითადი აქცენტი გაკეთდება საცალო მომხმარებლებზე და მიკრო, საშუალო და პატარა საწარმოებზე. CBDC ტექნოლოგია მარტივად გამოყენებადი უნდა იყოს, და მოხმარების სხვადასხვა გზას სთავაზობდეს მომხმარებლებს;
- 4) **მყისიერი.** გადარიცხვები უნდა იყოს მყისიერი. სისტემას უნდა შეეძლოს დიდი მოცულობის ტრანზაქციების გატარება;
- 5) **ინტეროპერაბელობა.** CBDC-მ ხელი არ უნდა შეუწყოს საგადახდო სისტემების დანაწევრებას. მნიშვნელოვანია, რომ თავსებადი იყოს სხვა საგადახდო სისტემებთან,

საბანკო და საბარათო გადარიცხვებთან, Stable Coin-ებთან, e-Money-სთან, და სხვა საერთაშორისო CBDC-ებთან;

-)] **ტექნოლოგიის ღია არქიტექტურა.** CBDC-ს პლატფორმა უნდა იყოს მარტივად ინტეგრირებადი კომერციული ფინანსური ინსტიტუტებისთვის და ფინტექ კომპანიებისთვის;
-)] **Smart contract-ების ფუნა.** შესაძლებელი უნდა იყოს სმარტ კონტრაქტების გამოყენება და ავტომატური გადახდები (მაგალითად, მარტივ შემთხვევებში, გადასახადების ავტომატურად აღრიცხვა და გადახდა);
-)] **საინფორმაციო ფუნა.** შესაძლებელი უნდა იყოს ტრანზაქციასთან ერთად დამატებითი ინფორმაციის გადაცემა (მაგალითად, ქვითარი ან კონტრაქტის დეტალები);
-)] **GDPR-თან შესაბამისობა.** ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტით განხორციელებულ ტრანზაქციებზე, CBDC-ს მხარეებმა უნდა შეინარჩუნონ კონტროლი მიმოცვლაში არსებულ ინფორმაციაზე. ტექნოლოგიამ უნდა უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების მთლიანობა და შესაბამისობა GDPR სტანდარტებთან;
-)] **სტატისტიკური ინფორმაცია.** CBDC უნდა შეეძლოს სტატისტიკური მონაცემების აგრეგირება პერსონალურ მონაცემების დე-ანონიმიზაციის გარეშე (მაგალითად, საფასო ინდექსების დაანგარიშებისთვის)
-)] **AML/CFT თავსებადი.** ტრანზაქციების მიდევნება უნდა შეესაბამებოდეს AML სტანდარტებს, განსაკუთრებით, FATF Recommendation 16-ს. ტექნოლოგიური გადაწყვეტა უნდა ცდილობდეს ოპტიმალური ბალანსის დაცვას კონფიდენციალურობის უზრუნველყოფასა და AML/CFT რისკების მართვას შორის;
-)] **კიბერუსაფრთხოება.** სისტემა უნდა იყოს დაცული აქტიური საოპერაციო საფრთხეებისგან, განსაკუთრებით კიბერშეტევებისგან;
-)] **ოფლაინ გადახდები.** შეზღუდული P2P ოფლაინ ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა;
-)] **პროცენტის დარიცხვა.** CBDC-ის საშუალებით შესაძლებელი უნდა იყოს მისი მფლობელისათვის საპროცენტო განაკვეთის დარიცხვა;
-)] **საოპერაციო შეზღუდვები.** აუცილებელია არსებობდეს ლიმიტების დაწესების შესაძლებლობა ცალკეულ ინდივიდუალურ მფლობელობებსა და ტრანზაქციებზე;
-)] **ოპერაციების დადასტურება.** გარკვეულ ოპერაციებზე, მრავალმხრივი-ხელმოწერით დადასტურებების შესაძლებლობა.

CBDC სრულიად ახალი ტექნოლოგიაა, რომლის განვითარების პროცესის დროს, აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნას სხვადასხვა რისკების შეფასება და მათი ჯანსაღად მართვა. თეორიულად, ლიტერატურაში აღწერილი რისკების გარდა, შესაძლოა იყოს გაუთვალისწინებელი რისკებიც, რომლებიც მხოლოდ მართვად და კონტროლირებად გარემოში გამოჩნდება. CBDC-ს განვითარების ხელშესაწყობად საქართველოს ეროვნული ბანკი მიზნად ისახავს ღია მარეგულირებელი ჩარჩოს გამოყენებას ციფრული ბანკის ჩარჩოს ჩათვლით. ამასთანავე, რეგულირების ლაბორატორიის ფარგლებში, შესაძლებელი იქნება მარეგულირებელი სენდბოქსის გამოყენება. მართვად, რეალურ გარემოში ინტენსიური ტესტირებით შესაძლებელი იქნება CBDC ტექნოლოგიის სასურველი მიმართულებით განვითარება, მასთან დაკავშირებული რისკების სწორად მართვა და მომხმარებლების საჭიროებებზე უკეთესად მორგება. რეგულირების ლაბორატორიაში ტესტირება, ასევე დაეხმარება ეროვნულ ბანკს განავითაროს მარეგულირებელი ჩარჩო და განაახლოს

სამართლებრივი თავსებადობა CBDC ტექნოლოგიის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. CBDC-ს განვითარებისათვის ასევე შესაძლებელია ციფრული ბანკის ჩარჩოს გამოყენება.

ეროვნული ბანკის ციფრული ვალუტა შესაძლოა გახდეს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ფინანსური ეკოსისტემისთვის და მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კერძო ინოვაციების და ახალი ფინანსური ტექნოლოგიების შექმნაზე. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება კერძო სექტორის ჩართულობა ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების, ინტერფეისის დიზაინის, მომხმარებელთა მართვის, KYC და AML/CFT ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნის, რეგულაციებთან თავსებადობის და მონაცემთა მართვაში.

თუ თქვენ მონაწილეობთ CBDC ტექნოლოგიის განვითარებაში და ხართ დაინტერესებული შეუერთდეთ საქართველოს ეროვნული ბანკის ამბიციურ პროექტს, დაგვიკავშირდით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - innovationoffice@nbg.gov.ge. გთხოვთ, დაასათაუროთ ელექტრონული წერილი შემდეგნაირად - “PPP on CBDC” და წარმოადგინოთ მოკლე მიმოხილვა თქვენი კომპანიის და იმ ტექნოლოგიური გადაწყვეტების შესახებ. ასევე, მიუთითეთ თქვენი როლი - წარმოადგენთ CBDC ტექნოლოგიის პროვაიდერს, თუ გსურთ სისტემის ოპერირებაში მიიღოთ მონაწილეობა. საქართველოს ეროვნული ბანკი განიხილავს ტექნოლოგიურ დანერგვასთან დაკავშირებულ იმ წინადადებებს, რომლებიც მოიაზრებს როგორც CBDC-ის პირდაპირ მართვას ეროვნული ბანკის მიერ, ასევე რეგულირებადი კერძო კომპანიის მიერ.